# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

## ბრძანება №96/ნ
## 2016 წლის 16 აგვისტო

## ქ. თბილისი

## „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების $2^1$ პუნქტით გათვალისწინებული დანართ №9-ის №22-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქალაქ ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბლის №1 საჯარო სკოლა | ქართული/ აზერბაიჯანული | დაწ-საბ-საშ | ქართული/ აზერბაიჯანული |

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი** **ალექსანდრე ჯეჯელავა**